ახალი ხარაგაული

№427 (1) 1 თებერვალი, 2021 წ.

ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან თათბირი გამართა, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, მოადგილე დავით დევდარიანი და თანაშემწე ჟანა ნემსაძე დაესწრნენ.

შეხვედრა ბოლო პერიოდში მერიაში განხორციელებული საკადრო პოლიტიკით დაიწყო და კობა ლურსმანაშვილმა წარმომადგენლებს ახალი მოადგილეები და მერის თანაშემწე წარუდგინა.

ხარაგაულის მერმა ხაზი გაუსვა გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის აუცილებლობას, რაც მუნიციპალიტეტის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

საუბარი შეეხო პანდემიით არსებულ გამოწვევებს. როგორც კობა ლურსმანაშვილმა აღნიშნა, საკრებულოსთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, კვლავ განმეორდეს სოციალური აქცია, რომელიც წინასაახალწლოდ უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს შეეხო.

ამ საკითხზე მუშაობა მან მერის პირველ მოადგილეს, ვარლამ ჭიპაშვილს, დაავალა, რომელშიც ჩართული იქნებიან სოციალური სამსახური და მერის წარმომადგენლები.

ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ სოციალური აქციის ფარგლებში კვლავ ის ბენეფიციარები შეირჩევა, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება.

მერის პირველმა მოადგილემ ასევე მიმოიხილა გასულ დღეებში, ხანგრძლივი წვიმის გამო მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგები. აღინიშნა, რომ ზარალის დათვლა მიმდინარეობს და სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია პერიოდულად გაგრძელდება.

შეხვედრაზე განიხილეს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება და რაშიც, მერის თქმით, დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ჩართულობას, რადგან ისინი თავად ირჩევენ მცირე პროექტებს დასაფინანსებლად.

აღნიშნულ საკითხზე კობა ლურსმანაშვილმა მერის წარმომადგენლებს საპროექტო წინადადებების წარმოდგენის დროს მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობისკენ მოუწოდა.

ხარაგაულის მერმა სოციალურად დაუცველი ოჯახების საშეშე მერქნით მომარაგების საკითხზეც ისაუბრა. როგორც ბატონმა კობამ განმარტა, აღნიშნული აქცია გრძელდება და მუნიციპალიტეტს აქვს იმის რესურსი, რომ განსაკუთრებულად მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს საშეშე მერქანი გადაეცეს.

თათბირზე ისაუბრეს ადმინისტრაციულ ერთეულებში ამბულატორიების ფუნქციონირებაზე. ყურადღება გამახვილდა ნადაბურის თემზე, სადაც წლებია, სოფლებში ექიმის არარსებობის პრობლემა დგას. მერის ინფორმაციით, ეს გამოწვევა ახლა ნაწილობრივ დაძლეულია. საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრში დაინიშნა თანამშრომელი, რომელიც ვალდებულია, ნადაბურში, კომპეტენციის ფარგლებში, სამედიცინო კონსულტაციები გაუწიოს მოსახლეობას. აღნიშნული პრობლემა ამ კუთხით დარეგულირდება ასევე, მაღალმთიან სოფელ გედსამანიაშიც.

სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა მერის მოადგილე დავით დევდარიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გარდამავალი პროექტების მიმდინარეობა სოფლებში არ შეჩერებულა, ხოლო რაც შეეხება ახალი პროექტების დაფინანსებას, მერია რეგიონალური განვითარების ფონდიდან თანხებს ელოდება.

თავის მხრივ, მერის წარმომადგენლებმა სოფლებში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე ისაუბრეს. შეხვედრა, ძირითადად, კითხვა – პასუხის რეჟიმში წარიმართა. მერმა კონკრეტული პრობლემები მოისმინა და წარმომადგენლებთან ერთად მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელა.

დასასრულ, კობა ლურსმანაშვილმა ყურადღება მერიაში მოქმედ სოციალურ პროგრამებზე გაამახვილა. მისივე განმარტებით, ამ მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მერიაში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებითა და ერთჯერადი ფინანსური დახმარებით.

მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, სამსახურის უფროსებთან თათბირი გამართა

ხარაგაულის მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, უფლებამოსილების ფარგლებში, მერიის სამსახურისა და განყოფილების უფროსებთან პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა. ძირითადად კი თავისი საკურატორო სფერო- საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკა და ქონების მართვა, კულტურა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდული მიმართულებებიმოიცვა.

,,მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობა, ვფიქრობ, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების, ღონისძიებებისა და სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა და ერთად მსჯელობა, ბევრად უფრო ეფექტურ შედეგს მოგვცემს. აუცილებელი და საჭიროა თითოეულ ჩვენგანს ერთმანეთთან მჭიდრო და კონსტრუქციული თანამშრომლობა გვქონდეს, რაც აუცილებლად მოგვცემს შედეგს, ჩვენი მუნიციპალიტეტი იყოს ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ რეჟიმში სისტემატურად გვექნება შეხვედრა, ერთმანეთთან აზრებისა და იდეათა გაცვლა-გამოცვლა.“- აღნიშნა შეხვედრის დასაწყისში ბატონმა ვარლამმა.

მერის პირველი მოადგილე დეტალურად გაეცნო თითოეული სამსახურის საქმიანობას, იქ არსებულ პრობლემებს და სამსახურის უფროსებთან მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელა. როგორც ვარლამ ჭიპაშვილმა განმარტა, ხარაგაულის მერის ბ-ნ კობა ლურსმანაშვილის დავალებაა, რაც შეიძლება უმოკლეს დროში აღმოიფხვრას ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც მერიის სამსახურების ეფექტური მუშაობისათვის საჭირო და აუცილებელია.

,,მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციები. სასწრაფოდ უნდა აღვრიცხოთ ქონება, რომელიც მუნიციპალიტეტის ბალანსზეა და მოხდეს ამორტიზებული და გამოუყენებელი ინვენტარის ჩამოწერა. მიმდინარე წლის ბიუჯეტში ჩადებულია გარკვეული თანხა, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, ამ მიმართულებით გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები“, -დასძინა ვარლამ ჭიპაშვილმა.

მერის პირველმა მოადგილემ ხაზგასმით გამოყო საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუშაობა. მისივე თქმით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საბიუჯეტო სახსრების განკარგვას. როგორც ვარლამ ჭიპაშვილმა განმარტა, 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია უამრავი მუნიციპალური პროგრამისა და პროექტის განხორციელება.

ყველას მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო, მათ შორის, ჩვენი ქვეყანა ებრძვის პანდემიას. აქედან გამომდინარე, კულტურული მიმართულებით შეჩერებულია სხვადასხვა აქტივობის განხორციელება. თუმცა, როგორც შეხვედრაზე მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ განმარტა, უახლოეს მომავალში ის გეგმავს ხარაგაულელი მაყურებლის წინაშე, რეგულაციების სრული დაცვით, განსხვავებული ფორმატით წარდგეს.

შეხვედრაზე იმსჯელეს ასევე წარმატებულ სპორტსმენებზე ფულადი ჯილდოს გაცემის საკითხზე.

დასასრულ, ვარლამ ჭიპაშვილმა სამსახურის უფროსებს აქტიური მუშაობისაკენ მოუწოდა და განმარტა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყოველთვის უნდა იყოს ხალხის სამსახურში და ნებისმიერი გადაწყვეტილება სწორედ მათი ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. მერის პირველი მოადგილის თქმით, მაქსიმალურად ვიმუშავებთ იმისათვის, რომ მდგომარეობა მუნიციპალიტეტში გაუმჯობესდეს და გვქონდეს პროგრესი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქროლში ჭაბურღილი მოეწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქროლში ჭაბურღილი მოეწყო. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 39 000 ლარით დაფინანსდა. სამშენებლო სამუშაოები ადგილზე პირადად შეაფასეს ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ ვარლამ ჭიპაშვილმა.

მოგახსენებთ, რომ ჭაბურღილი 125 მეტრი სიღრმისაა, რომლითაც მონასტრის მიმდებარე დასახლებაში მცხოვრები ოჯახები ისარგებლებენ. პრობლემა, რომელიც, წლებია აწუხებთ აქ მცხოვრებლებს, მერის, კობა ლურსმანაშვილის, უშუალო ჩართულობით აღმოიფხვრა.

როგორც კობა ლურსმანაშვილი განმარტავს, სოფლებში წყალმომარაგების საკითხზე მერია აქტიურად მუშაობს და ეტაპობრივად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდება პრობლემის გადაჭრა.

რაც შეეხება დაბა ხარაგაულის 24-საათიან წყალმომარაგებას, ამ მიზნით, სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და რეაბილიტაცია უტარდება ლეღვნის სათავე ნაგებობიდან შემომავალ 14-კილომეტრიან მაგისტრალს.

პროექტი ასევე ითვალისწინებს წყალმომარაგების ქსელების, მაგისტრალების, ორი ახალი აუზის, ჭაბურღილების, სათავე ნაგებობებისა და სატუმბი სადგურის მშენებლობას. ასევე, მოეწყობა ახალი რეზერვუარი, დაგეგმილია კორპუსებში შიდა გაყვანილობის მოწყობა და მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

სამუშაოები რვა თვეში დასრულდება და ხარაგაულის 4 000-მდე ოჯახს ხარისხიანი და სტაბილური წყალმომარაგება ექნება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ოცსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ხარაგაულში საკათედრო ტაძარი პირველად აშენდა

6 იანვარი ხარაგაულის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა. ამ დღეს მაცხოვრის შობისა და თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძარი ეკურთხა. ტაძრის კურთხევის ცერემონიალი მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკ ხაჩიძემ მღვდელმსახურებთან ერთად შეასრულა. ახლად აშენებულ საკათედრო ტაძარში პირველი წირვა-ლოცვა 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე ჩატარდა.

მუნიციპალიტეტში საკათედრო ტაძრის მშენებლობას საფუძველი 2007 წელს ჩაეყარა.

ამ უკეთილშობილეს საქმეში განუზომელია, მშენებლობის ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის, აწ გარდაცვლილი ცეზარ ბუბულაშვილის ღვაწლი.

ბ-ნ ცეზარის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა ახალი ფონდი, რომლის დამფუძნებელი მარგვეთისა და უბისის მთავარეპისკოპოსი მელქისედეკ ხაჩიძე გახლავთ. მეუფის ლოცვა-კურთხევით, მშენებლობის მენეჯერად ირაკლი ებანოიძე დაინიშნა, ფინანსურ მხარეს კი ბერიკა დუშუაშვილი ხელმძღვანელობს.

ტაძრის მშენებლობაში აქტიურად იყვნენ ჩართული: ხარაგაულის მრევლი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ა(ა)იპ-ების თანამშრომლები, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის მესვეურები. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ იმ ადამიანების წვლილი, რომელთაც ნაკლები შეხება აქვთ ხარაგაულთან, მაგრამ დიდი სიყვარულით ეხმარებიან მშენებლობის ფონდს. საბედნიეროდ, მათი რიცხვი საკმაოდ დიდია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაბა ხარაგაულის მაცხოვრის შობისა და თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძრის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობის სიგელი გადაეცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ კობა ლურსმანაშვილს, რომელიც პირადად ესწრებოდა ტაძრის კურთხევის ცერემონიალს.

მოგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე გრძელდება ხარაგაულის საკათედრო ტაძრის გამშვენება. ვისაც გაქვთ სურვილი, წვლილი შეიტანოთ ამ ისტორიულ საქმეში, შეგიძლიათ, თანხა დარიცხოთ შემდეგ ანგარიშის ნომრებზე:

თიბისი ბანკი
GE48TB7626636080100007;
საქართველოს ბანკი:
GE02BG0000000162433385;
ლიბერთი ბანკი:
GE18LB0115168146434000 .

ხარაგაულის მერმა კიცხსა და ფარცხნალში მერის ახალი წარმომადგენლები დანიშნა

კიცხისა და ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის ახალი წარმომადგენლები დაინიშნენ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ სოფელ კიცხში პაატა ბერაძე შეუდგა საქმიანობას. რაც შეეხება ფარცხნალს, ავთანდილ თაბუკაშვილი უხელმძღვანელებს.

ხარაგაულის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი უშუალოდ შეხვდა ახალ წარმომადგენლებს და ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ეფექტური და ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა.

პაატა ბერაძის განმარტებით, ის ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაგროვილი გამოცდილებით დიდი სარგებელი მოუტანოს კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულს და რაც შეიძლება უმოკლეს დროში აღმოიფხვრას პრობლემები.

თავის მხრივ, ავთანდილ თაბუკაშვილმა მზადყოფნა გამოთქვა, უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად ჩაერთოს სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში და ყველა გამოწვევას სათანადოდ უპასუხოს.

საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო მუშაობას შეუდგა



საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, პაატა კვიჟინაძის, ბიურო მუშაობას 2021 წლის 18 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა. ბიუროს ხელმძღვანელად ნანა ცხვედაძე დაინიშნა, ბიუროს თანამშრომლები არიან: პავლე თავზარაშვილი და ნინო ჭიპაშვილი. აქვე გეტყვით, რომ ქ-ნი ნანა გასულ წლებში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხარაგაულის სამსახურში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხარაგაულის სამოქალაქო რეესტრში და სსიპ ,,იუსტიციის სახლის“ ხარაგაულის საზოგადოებრივ ცენტრში.

როგორც ჩვენთან საუბარში ნანა ცხვედაძე განმარტავს, ბიურო ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9:30 -საათიდან 18:30-საათამდე იმუშავებს და მოქალაქეთა მიღება ყოველდღიურ რეჟიმში მოხდება.

,,ველოდებით მოქალაქეთა მომართვიანობას და მზად ვართ, ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებში, მაქსიმალურად გავუწიოთ ყველას დახმარება. ყურადღებით მოვისმენთ თითოეული მათგანის პრობლემას და შეძლებისდაგვარად ჩავერთვებით მათი მოგვარების პროცესში.“ - განმარტავს ბიუროს ხელმძღვანელი.

ნანა ცხვედაძემ აღნიშნა, რომ ბატონი პაატა კვიჟინაძე სამი მუნიციპალიტეტის - საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის - მაჟორიტარი დეპუტატია, ამავდროულად საქართველოს პარლამენტში გახლავთ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დატვირთული საქმიანობიდან გამომდინარე, მას დაგეგმილი აქვს, ხარაგაულის მოსახლეობას თვეში ორჯერ ან ერთხელ მაინც შეხვდეს.

საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო განთავსებულია ხარაგაულის მერიის პირველ სართულზე. მისამართი: 9 აპრილის ქუჩა N15; ტელ: 577 61 33 92 -ნანა ცხვედაძე.

მარიამ შარიძაძე

ხარაგაულის მერის მოადგილე დავით დევდარიანი წყალაფორეთის საჯარო სკოლაში დაგეგმილ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალაფორეთში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა იგეგმება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხარაგაულის მერის მოადგილე დავით დევდარიანი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინა ვეფხვაძე, მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებს შეხვდნენ. აქვე მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს დაგეგმილი იყო სკოლის რეაბილიტაცია, თუმცა სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ მისი რეაბილიტაცია მიზანშეწონილად არ ჩათვალა, მიზეზად კი შენობის ავარიული მდგომარეობა დაასახელა. აქედან გამომდინარე, მოხდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს მოწვევა, რომელიც დეტალურად შეაფასებს შენობის მდგომარეობას. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ექსპერტიზის დასკვნა უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი და სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება, მოხდება თუ არა წყალაფორეთში სკოლის ახალი შენობის აგება.

აქვე მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება, სოფელ მარელისისა და ვერტყვიჭალის საჯარო სკოლებს, სადაც სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

კიცხის საჯარო სკოლის ეშენებაროვა, საჭიროებიდან, ბოლოსთვის დასრულდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში ახალი სკოლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. აქვე გეტყვით, რომ მშენებლობა დეკემბრის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების გამო, ვადამ გაზაფხულამდე გადაიწია.

ხარაგაულის მერის მოადგილე დავით დევდარიანი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე სამშენებლო სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ.

150 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა Design-Build მეთოდით აიგება და მასზე 2 420 643 ლარი დაიხარჯება.

პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.

გარდა ახალი თანამედროვე ტიპის შენობისა, განხორციელდება ეზოს სრული რეაბილიტაცია და მოეწყობა სპორტული მოედანი.

შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

კიცხის საჯარო სკოლაში ამჟამად 90-მდე მოსწავლეა.

ხარაგაულში საკანალიზაციო სისტემა მოეწყობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იწყება. დაბის ტერიტორიაზე, წყალარინების (კანალიზაციის) სისტემის მოწყობის მიზნით, გამოცხადებული ტენდერი დასრულდა და გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდა.

კომპანია „ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფის“ წევრები პირადად შეხვდნენ ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და პროექტის განხორციელების დეტალები ადგილზე გააცნეს.

როგორც დოკუმენტაციაშია მითითებული, შემსრულებელი ვალდებულია, სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს რვა თვეში დაასრულოს, სამ თვეში უნდა გაკეთდეს პროექტი, ხოლო ხუთ თვეში შესრულდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აქვე მოგახსენებთ, რომ ხარაგაულში კანალიზაციის პროექტირება-მშენებლობის მიზნით, ტენდერი საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ გამოაცხადა.

საერთო ჯამში, აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით, 1 890 360 ლარი დაიხარჯება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაცია შესაძლოა, გაზაფხულზე დაიწყოს



რამდენიმე თვეა, რაც ქვეყანაში, პანდემიიდან გამომდინარე, რეგულაციები გამკაცრდა. შეზღუდულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, სავაჭრო ცენტრების ფუნქციონირება და სხვა. ამ დროისათვის კი ქვეყანაში კოვიდინფიცირებულთა რაოდენობამ საგრძნობლად მოიკლო. რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ამის შესახებ ,,ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე გვესაუბრება.

„ქვეყანაში გამკაცრებულმა შეზღუდვებმა შედეგი ნამდვილად გამოიღო, ინფიცირებულთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. მაშინ როდესაც პიკის დროს, კოვიდცენტრით სარგებლობა პრობლემა იყო, დღესდღეობით, ამ მხრივ, სიტუაცია გაუმჯობესებულია. მდგომარეობა დასტაბილურდა ხარაგაულშიც. საერთო ჯამში 486 პაციენტია დაინფიცირებული, 411 - გამოჯანმრთელებული, გარდაცვლილი - 9, თვითიზოლაციაშია – 29, ხოლო ექვსი პირი საავადმყოფოში მკურნალობს. ასევე საყურადღებოა, რომ ხარაგაულში საზოგადოების დიდი ნაწილი ჯანდაცვის რეკომენდაციებს ითვალისწინებს და ნიღბით გადაადგილდება. თუმცაღა აღსანიშნავია, რომ პირბადეს თავისი მოხმარების წესები აქვს და მისი სწორად გამოყენება თავდაცვის საიმედო საშუალებაა. მოგეხსენებათ, რომ ვირუსი წვეთოვანი გზით ვრცელდება,"- აღნიშნავს შმაგი ხიჯაკაძე.

შეგახსენებთ, რომ ჯანდაცვის ცენტრში შესაძლებელია სწრაფი ტესტირების ჩატარება. რამდენიმე კვირაა, მოსახლეობას ამავე სერვისით სარგებლობა ხარაგაულის სამედიცინო ცენტრშიც უფასოდ შეუძლია. ანამნეზიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულებაში, ასევე უფასოდ, პისიარ ტესტიც კეთდება.

ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი სკოლებში საწავლების განახლების საკითხსაც შეეხო და თვლის, რომ პროცესის მცირე დროით გადაწევა გაცილებით შედეგიანი იქნებოდა. აქვე ამბობს, რომ პირველი თებერვლიდან ცენტრს პედაგოგთა ტესტირება დაევალა.

ბ-ნი შმაგი კიდევ ერთხელ ეხება კოვიდინფიცირებული პაციენტის იზოლაციის თემას. პაციენტი, რომელთანაც ვირუსი უსიმპტომოდ მიმდინარეობს, გამოჯანმრთელებულად 12 დღის შემდეგ ითვლება, ხოლო თუ პროცესი სხვადასხვა სიმპტომითაა გამოხატული, პაციენტი გამოჯანმრთელებულად ბოლო სიმპტომიდან სამი დღის გასვლის შემდეგ მიიჩნევა.

ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ბოლოს კოვიდ-19-ის ვაქცინაციაზეც საუბრობს. მისი ინფორმაციით, ვაქცინაცია, სავარაუდოდ, გაზაფხულზე დაიწყება და პირველ ეტაპზე, ალბათ, სამედიცინო პერსონალი აიცრება. თუმცა, რომელი სახის ვაქცინა იქნება და სად შეეძლება მოსახლეობას მისი გაკეთება, ამის შესახებ ინფორმირებული ჯერჯერობით არაა.

შმაგი ხიჯაკაძე ხაზგასმით ამბობს, რომ ინფიცირებულთა რაოდენობის კლებამ არ უნდა დაგვავიწყოს უმთავრესი რეკომენდაციების დაცვა: ნიღბის სწორად გამოყენება, ჰიგიენის ნორმებისა და დისტანციის დაცვა.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მერიაში ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება შექმნა

უახლოეს მომავალში ხარაგაულის მერიაში ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება დაიწყებს ფუნქციონირებას. აღნიშნული საკითხი საკრებულოს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა წარუდგინა. კახა გოლუბიანმა დეტალურად ისაუბრა ახალი განყოფილების ფუნქციებზე და განმარტა, რომ განყოფილება ღონისძიებებს განახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ზემოხსენებულ განყოფილებაში სულ 6 პირი დასაქმდება: ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი, ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებში სოციალური მუშაკი და ინსპექტორი. აღნიშნულ ადგილზე დასაქმებული სამი პირი შტატით გათვალისწინებული თანამშრომელი იქნება, ხოლო ხელშეკრულებით დამატებით სამი სხვადასხვა პროფესიის ადამიანია საჭირო. ესენია: სოციალური მუშაკი, იურისტი და ბავშვთა ფსიქოლოგი.

ახალი განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს ბავშვის უფლებათა დაცვის მუნიციპალური პროგრამის შემუშავებას, მათი განხორციელების კოორდინაციას, აღნიშნული პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალური მუშაკების ქსელის შექმნას და მათი სამოქმედო უბნების განსაზღვრას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხდომაზე დეპუტატებმა საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე მოხარულია, რომ ხარაგაულში მსგავსი ტიპის განყოფილება შეიქმნა და განმარტავს, რომ ყოველივე ხელს შეუწყობს ბავშვთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას. ,,საქართველოს პარლამენტმა ბავშვთა უფლებების დაცვის კოდექსი გასულ წელს დაამტკიცა. შემდეგ შეიმუშავეს საკითხი, რომ ყველა მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილიყო შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც იმუშავებდა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე,"- განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.

„დღეს მსოფლიოში ბავშვთა უფლებების დაცვას დიდი ყურადღება ექცევა და მივესალმები, რომ ხარაგაულში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება, " - ამბობს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძე და იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული განყოფილება პროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტდება და ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე მაქსიმალურად იმუშავებენ.

ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების შექმნას საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

თამარ მაღრაძე

ეგზეკალა - ეგე ძიჩკველი ქაჯთველი ენისა

მზექალა შანიძე - 95

რა დიდებული, რაოდენ ტევადი სახელი შეურჩევია სათაყვანებელი ქალიშვილისათვის სათაყვანებელ მამას - ქართული ენის გრამატიკის მოძღვართ მოძღვარს, დიდ აკაკი შანიძეს. ასულმა სრულად გაამართლა სახელის შინაარსი - იგი მარტოოდენ ქალი კი არა, არამედ მზეა, მზე ძირძველი ქართული ენისა, ძლიერი მაცოცხლებელი სხივებით რომ ანათებს ჩვენი საფიცარი ტკბილქართულის უწმინდეს ცას. ეს ის მზე ქალია, რომელიც ყოველ ქართველში აღძრავს სწრაფვას, რომ მეტი გაიგონ, მეტი შეიმეცნონ და უფრო ღრმად ჩაწვდნენ იმ საიდუმლოებებს, რომლებიც ქართული ენის დიდ საგანძურშია დავანებული და კვლევის უკიდეგანო ასპარეზს სთავაზობს მომავალ თაობებს...

მას სხვა არჩევანი არც უძებნია - საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შევიდა საქართველოს საუნივერსიტეტო განათლების უპირველეს ტაძარში, ქალაქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1948 წელს და გახდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი. ინტერესით დაადგა სახელოვანი მამის მიერ რუდუნებით გაკვალულ ძნელადსავალ გზას და ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართულ ენას და თვალს ავლებ რა ამ დიდ ქალბატონის გავლილ გზას, კიდევ ერთხელ რწმუნდები, თუ რაოდენ უკიდეგანოა დიდ შრომასთან შერწყმული ნიჭის შესაძლებლობანი, რომლებითაც ზენაარისაგან უხვადაა დაჯილდოებული ქალბატონი მზექალა შანიძე.

ძვირფასო მკითხველო!

ძალზე რთულია, საგაზეთო წერილში წარმოაჩინო აკადემიკოსი ქალბატონის სამეცნიერო ღვაწლის ამსახველი ძირითადი მომენტები. თავს უფლებას მივცემ, მხოლოდ რამდენიმეზე შევაჩერო თქვენი ყურადღება: 1953 – 2006 წლებში ქალბატონი მზექალა შანიძე სამეცნიერო - პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თსუ-ში სემიტოლოგიისა და ძველი ქართული ენის კათედრებზე. კითხულობდა ძველი ებრაული ენის, სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის, ძველი ქართული ენის ისტორიის კურსებს. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერ - თანამშრომელი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ხელნაწერთა ინსტიტუტის კონსულტანტი.

ქალბატონ მზექალა შანიძის კვლევის სფეროა სემიტოლოგია, ბიბლიური ტექსტები, ძველი ქართული ტექსტების პუბლიკაცია, ქართული ენა - ლექსიკოლოგია, „ქართლის ცხოვრების" ტექსტების შესწავლა - დადგენა, ხელნაწერთა შესწავლა.

1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ფარინგალური ბგერები ძველ ებრაულ ენაში" 1974 წელს - სადოქტორო დისერტაცია „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები". არის 120-ზე მეტი ნაშრომის, თარგმანებისა და მონოგრაფების ავტორი. მათ შორის: „ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი," „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისა," ახლად აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა" (სამენოვანი წიგნის ინგლისური ნაწილის თარგმანი. ათენი, 2005).

პროფესორი მზექალა არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, აკადემიკოსი, გელათის აკადემიის აკადემიკოსი...

1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი. დიდი მეცნიერისა და ასევე დიდი პატრიოტის, მზექალა შანიძის, ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991 წელი, 9 აპრილი).

მეცნიერი ქალბატონი სათავეში უდგას საქართველოს ქალთა საბჭოს. ესაა მეტად პრესტიჟული ორგანიზაცია, რომელიც იბრძვის ქალთა საქმიანობის გააქტიურების, ქალთა წარმოჩინებისა და მათი უფლებების დაცვისათვის. საყურადღებოა, რომ საბჭოს მჭიდრო კონტაქტი აქვს ემიგრანტ ქალბატონებთან.

პანდემიის პერიოდში ერთი დღეც არ შეჩერებულა საბჭოს მუშაობა. ქალბატონი მზექალა, აღმასრულებელ დირექტორ ქეთევან გაბრუაშვილთან ერთად, ჩვეული პასუხისმგებლობითა და შემართებით წარმართავს საბჭოს მუშაობას.

ვამაყობთ, რომ ხარაგაულში საქართველოს ქალთა საბჭოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა ნიჭიერებითა და საქმით სრულიად საქართველოში ცნობილი ქალბატონი იზა ვეფხვაძე.

ქალბატონი მზექალა არის ღირსების ორდენის კავალერი და უამრავ ჯილდოთაგან განსაკუთრებულად საამაყო - აკაკი შანიძის პრემიის ლაურეატი.

* * *

მე, როგორც ერთი რიგითი ქართველი, უბედნიერესი ვარ, წლების წინ რომ პირადად გავიცანი ქალბატონი მზექალა შანიძე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საიუბილეო საღამოზე და მასთან საუბარმა ერთხელ კიდევ დამარწმუნა, სახელოვანი მამის მსგავსად, თუ რაოდენ თავმდაბალი და უშუალოა ეს დიდი სწავლული ქალბატონი. მეამაყება, როგორც პედაგოგმა, თაობები აღვზარდე აკადემიკოს აკაკი შანიძის ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებით.

რაკი ბატონი აკაკი შანიძე ვახსენე, არ შემიძლია, სტუდენტობის პერიოდიდან ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი არ გავიხსენო. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი ვიყავი. პედაგოგიურ პრაქტიკას ქალაქის პირველ საშუალო სკოლაში გავდიოდით. იმ დღეს მეშვიდე კლასში საცდელი გაკვეთილი უნდა ჩამეტარებინა ქართულ ენაში. როგორც პრაქტიკანტი, საკმაოდ ვღელავდი დამოუკიდებლად ჩასატარებელი გაკვეთილის წინ. პირველი გაკვეთილი გამოვიდა თუ არა, მაშინვე შევედი VII კლასში, რომ თავალი გადამევლო „ჩემი მოსწავლეებისათვის." მოსწავლეები უკვე შედგომოდნენ გაკვეთილისათვის მზადების თადარიგს, სახელმძღვანელოები ჰქონდათ მომარჯვებული გასამეორებლად. ამ დროს ერთი მაღალი ბიჭუნა მიუახლოვდა თანაკლასელ გოგონას და უთხრა: ნინო, გეხვეწები, შანიძე მათხოვე! ვერ წარმოიდგენთ, რა სითბო ჩამეღვარა სულში და რა სიყვარულით აღვივსე ბიჭუნას მიმართ. მისთვის ხომ ქართული ენა შანიძესთან ასოცირდებოდა. ვფიქრობ, ამ ფაქტს ზედმეტი კომენტარი არ სჭირდება. ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ეს ამბავი ხშირად მიამბია მოსწავლეებისათვის...

* * *

2009 წლის იანვარში ჩვენი დიდი თანამემამულის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის 100 წლის საიუბილეოდ გაზეთი „ახალი ხარაგაულისათვის" სტატიას ვამზადებდი და ცნობილ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს ტელეფონით დავუკავშირდი, რომ თავიანთი აზრი გამოეთქვათ ამ სახელოვანი მეცნიერის შესახებ. მათგან ერთ-ერთი პირველი ქალბატონი მზექალა შანიძე ბრძანდებოდა. გთავაზობთ ფრაგმენტს მისი საუბრიდან: „განუზომელია ბატონი ევგენი ხარაძის მეცნიერული ღვაწლი. ღვაწლის შესატყვისია მისი, როგორც პიროვნების, ინტელექტუალური პოტენციალი. თბილისში ლეგენდები დადიოდა ევგენი ხარაძის ინტელიგენტობაზე. ამჯერად რამდენიმე შემთხვევაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

ბატონი ევგენი უნივერსიტეტის რექტორი იყო. ერთხელ მამამ მასთან რაღაც საჭირო საქმის გამო წერილი გამატანა. როცა წერილი წაიკითხა, სახეზე შეშფოთება გამოეხატა და მითხრა: - თქვენ რატომ შეგაწუხათ, რატომ არ დამირეკა, ბატონ აკაკის ჩემი ფეხით ვეახლებოდი, ეს ხომ ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდაო.

უნივერსიტეტის თანამშრომლებს ბინებს უნაწილებდნენ. კომისიას ბატონი ევგენი ხელმძღვანელობდა. მისთვის ჩვეული სამართლიანობის პრინციპის სრული დაცვით განაწილდა აღნიშნული ბინები, მაგრამ მაინც აღმოჩნდა ერთი განაწყენებული. ის შეიჭრა ბატონი ევგენის კაბინეტში და ძალზე შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა. ბატონი ევგენი ბოლომდე უსმენდა და სათვალის ზემოდან უცქერდა საოცარი სიმშვიდით ისე, რომ ერთი ძარღვი არ ატოკებია. როცა განაწყენებულმა თავისი ,,არსენალი" დაცალა, ბატონმა ევგენიმ კარებისაკენ მიუთითა და მისეული მშვიდი ხმის ტემბრით უთხრა: ძალიან ვმწუხვარ, ყმაწვილო, რომ თქვენ ასეთი უზრდელი ბრძანდებით. ახლა კი გთხოვთ, მიბრძანდეთ!

* * *

ქართული ენისა და ქართული მეცნიერების ამაგდარო, დიდო ქალბატონო მზექალა!

გილოცავთ სახელოვანი ცხოვრების იუბილეს - 95 წლისთავს. დაე, უფლის მადლით, კვლავ მრავალი ათეული წელი შეემატოს თქვენს ჯანმრთელ სიცოცხლეს ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს საბედნიეროდ!

მერი გიორგიძე

დეპუტატებმა პირველ საბიუჯეტო ცვლილებას მხარი დაუჭირეს

25 იანვარს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა წლის პირველი საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. საკითხი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა წარადგინა. მოხსენებითი ბარათის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 2021 წლის ბიუჯეტში გზების რეაბილიტაციისათვის პირველ ეტაპზე 2 809 796 ლარი გამოეყო.

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვლადიმერ გელაშვილი განმარტავს, 2021 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან 2 587 327.16 ლარი საჭიროა მიიმართოს: გზების, ხიდების, კეთილმოწყობის ობიექტების, ამბულატორიების, სკოლების, მრავალბინიანი სახლების, წყლის სისტემის, კანალიზაციის სისტემის, კულტურული ობიექტებისა, სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაციისა და მოსწავლეთა ტრანსპორტის ხარჯებში.

გარდა ამისა, საკუთარი სახსრების ნაშთიდან, 2020 წელში აღებული ვალდებულებების დასაფარავად მიიმართა 152 325 ლარი. მათ შორის:

მერიის ხარჯებში 5134 ლარი, აქედან, შრომის ანაზღაურებაზე -191.30 ლარი; საწვავი - 3460.26 ლარი; კავშირგაბმულობა- 1243,44 ლარი; ფოსტა - 183 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 56 ლარი.

- საკრებულოს ხარჯებში 1285.60 ლარი,

აქედან საწვავი - 785.54 ლარი; კავშირგაბმულობა- 484.86 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 15.20 ლარი.

- სამხედრო სამსახურის ხარჯებში 212.80 ლარი, მ.შ. საწვავი - 181 ლარი; კავშირგაბმულობა- 28.20 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 3.60 ლარი.

- გზების რეაბილიტაციის თანადაფინანსებისათვის - 50 000 ლარი.

- საინჟინრო მონიტორინგის ხარჯებში - 91 145,99 ლარი, მ.შ. გზებზე - 60 300 ლარი; ხიდების მონიტორინგზე - 22 245.99 ლარი. სპორტული მოედნების მონიტორინგის ხარჯები 8600 ლარი;

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე“ 4200 ლარი, აქედან, ჭაბურღილები -800 ლარი; წისქვილები - 1200 ლარი; ელექტროგადამცემი ხაზები - 2200 ლარი.

სხდომაზე საკითხს კენჭი მუხლობრივად უყარეს და 2021 წლის პირველი საბიუჯეტო ცვლილება დეპუტატთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა.

თამარ მაღრაძე

პირველი თებერვლიდან შესაძლოა, ხარაგაულის საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი განახლდეს

ხარაგაულში შვიდმა საჯარო სკოლამ (ვაშლევი, ღორეშა, უბისა, სარგვეში, ვერტყვიჭალა, ნადაბური, ხუნევი) 18 იანვრიდან სასწავლო პროცესი სასკოლო ოთახებში განაახლა, ხოლო დანარჩენი კვლავ დისტანციურ რეჟიმზეა. როგორც ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე განმარტავს, ზემოხსენებულ სკოლებში მოსწავლეთა სრული დასწრებაა.

„განათლების სამინისტრო პანდემიის პერიოდში სკოლებს სადეზინფექციო საშუალებებით, დეზობარიერებითა და ნიღბებით ამარაგებს. ყველა საშუალება არის შექმნილი, რომ სკოლაში სისუფთავე და წესრიგი იყოს. გარემონტდა თითქმის ყველა სკოლის სველი წერტილი და ყოველდღიურად მუშავდება მერხები და სკამები,“- აღნიშნავს მარინე ვეფხვაძე.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ფიქრობს, რომ პირველი თებერვლიდან ხარაგაულში სასწავლო პროცესი ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება. მისივე თქმით, დისტანციური სწავლება მეტ-ნაკლებად შედეგიანი იყო. მოსწავლეთა უმრავლესობა ცდილობდა, ჩართულიყო სასწავლო პროცესში, თუმცა მათთან, ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ ჰქონდა, პედაგოგები სატელეფონო ზარით ახორციელებდნენ სწავლებას. „განსაკუთრებით რთული იყო პირველი კლასისათვის და ვფიქრობ, რომ სასწავლო პროცესის აღდგენის შემდეგ შესაძლოა, დამატებითი გაკვეთილები გახდეს საჭირო.“ - განმარტავს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

მარინე ვეფხვაძე ჩვენთან საუბარში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერებაზეც საუბრობს. მისივე ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლაში პედაგოგების გადაადგილებისათვის ტრანსპორტი საჭიროა, რისთვისაც დახმარება ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვა და მათი ჩართულობით ეს პრობლემა აღმოიფხვრება.

თამარ მაღრაძე

რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 2 მილიონ 809 796 ლარი გამოეყო

ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონული განვითარების ფონდიდან პირველ ეტაპზე 2 მილონ 809 796 ლარი გამოეყო.

აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტში 15 პროექტი განხორციელდება.

მათ შორის პრიორიტეტი მიენიჭა გარდამავალ პროექტებს, რომლებიც 2020 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს.

საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება შემდეგ სოფლებში:

ვარძიის (პირველი უბანი - პაპიძე, ჩხიკვაძეები, ოკრიბელაშვილები) - გზის რეაბილიტაცია;

მოლითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია;

ჩხერის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი);

ერეთა-დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

ბაზალეთში საუბნო გზის (ჭიპაშვილების უბანი) რეაბილიტაცია;

მარელისში ცისკაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია(პირველი ეტაპი);

საქარიქედი(მუხების უბანი)-ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

ვანი-ღუდუმექეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

ქვების გზის რეაბილიტაცია(მეორე ეტაპი);

ვანი-სხლითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

სარგვეშის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ცისკაძეების უბანი);

წყალაფორეთში ბაღის უბნის გზისა და გაბეხაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია;

ვერტყვიჭალაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (გოგიაშვილები, ეკლესია);

ახალსოფლის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი);

საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხელიურის უბანი).

საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი პირველი მარტიდან აღდგება

თითქმის ერთი წელია, ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება არასრულფასოვნად ფუნქციონირებს. როდიდან აღდგება სასწავლო პროცესი ხარაგაულის საბავშვო ბაღებში და რა შეზღუდვები იმოქმედებს, ამის გასარკვევად ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი გაერთიანების დირექტორს, მამუკა ჭიპაშვილს, მივმართეთ. როგორც ბ-ნი მამუკა ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, საბავშვო ბაღი ფუნქციონირებას პირველი მარტიდან დაიწყებს. უკვე გამოცხადებულია ტენდერი საკვები პროდუქტების შესაძენად და თვის ბოლომდე დასრულდება. ბატონი მამუკა აქვე ამბობს, რომ ხარაგაულის მერიის ინიციატივით, შესაძლოა, თებერვალში კვლავ მოხდეს საკვები პროდუქტების აღსაზრდელებზე განაწილება.

„დაანონსებულია, რომ პირველი მარტიდან შესაძლებლობა მოგვეცემა, ბაღებში სასწავლო პროცესი განახლდეს. რა თქმა უნდა, იქნება რიგი შეზღუდვები: მაგალითად, მშობლები არ დაიშვებიან შენობაში და ბავშვის ჯგუფში შეყვანასა და უკან დაბრუნებას აღმზრდელის თანაშემწე უზრუნველყოფს. ამ ეტაპზე ჩვენი აღმზრდელები კვირაში ორჯერ ონლაინ მეცადინეობებს ატარებენ, რომელშიც აღსაზრდელები და მშობლები აქტიურად არიან ჩართული. აქვე დავსძენ, რომ ყველა საბავშვო ბაღისათვის შეძენილია სადეზინფექციო საშუალებები და ნიღბები. ჩვენ ვართ სრულ მზადყოფნაში და ვითვალისწინებთ მსოფლიო ჯანდაცვის რეკომენდაციებს. ამ ეტაპისათვის გაერთიანებაში 20 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, რომლებშიც 600 აღსაზრდელი ირიცხება,“- აღნიშნავს სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი.

მამუკა ჭიპაშვილი მარტიდან სოფელ საღანძილეში ახალაშენებული ბაღის გახსნასაც აანონსებს, რომელსაც თამარ კიკნაძე უხელმძღვანელებს. შეგახსნებთ, რომ სოფელ საღანძილეში საბავშვო ბაღი გასულ წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ამხანაგობა „იმერეთი და ხურომ“ ევროსტანდარტების სრული დაცვით ააშენა და იგი 50 აღსაზრდელზეა გათვლილი. საღანძილეში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება არასოდეს ყოფილა. მამუკა ჭიპაშვილი აქვე განმარტავს, რომ მარელისში არსებული სკოლამდელი მზაობის ჯგუფი, მოთხოვნისა და კონტინგენტის შესაბამისად, შესაძლოა, საბავშვო ბაღად გადაკეთდეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი ბაღის მშენებლობა დასრულდა ვერტყვიჭალაშიც.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორი საბავშვო ბაღების ავტორიზაციის საკითხსაც შეეხო, რომელიც გასულ წელს უნდა მომხდარიყო, მაგრამ ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, პროცესი მიმდინარე წლის ბოლომდე გაგრძელდება. „ავტორიზაციისათვის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საბავშვო ბაღი მზადაა. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ იმერეთის მასშტაბით, ხარაგაული ამ კუთხით ერთ-ერთი გამორჩეულია. აქვე დავამატებ, რომ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებამ ახალი სათამაშოები შეიძინა, რომელიც ყველა ბაღზე გადანაწილდება.„

თამარ მაღრაძე

ხანდები-ბაზალეთის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია დაიწყო

ხარაგაულის შემოვლითი გზის ნაწილის, ხანდები -ბაზალეთის გზის მონაკვეთზე, ბეტონის საფარი მოეწყობა. ამ ეტაპზე გზის

გასწორხაზოვნება მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 20 სმ სისქისა და 5მ სიგანის ბეტონის საფარის დაგება. გზის მონაკვეთზე, რომლის რეაბილიტაციის სავარაუდო ღირებულება, დაახლოებით, ნახევარი მილიონი ლარია, სამშენებლო სამუშაოები აპრილის ბოლოს დასრულდება.

აქვე გეტყვით, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალური განვითარების ფონდთან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი აქტიურ მოლაპარაკებას ანარმოებდა, რომელმაც შედეგი გამოიღო და სულ მალე მოსახლეობას კეთილმოწყობილი გზით შეეძლება გადაადგილება.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს იქნება ხარაგაულში შემოსასვლელი ალტერნატიული გზა, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ხარაგაულის ცენტრალური ქუჩების განტვირთვას.

ეს არის გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, მეორე ეტაპისთვის, რომელიც ბაზალეთის გადასახვევიდან ბაზრის ტერიტორიამდე მონაკვეთის რეაბილიტაციას გულისხმობს, ფინანსური რესურსების მოსაძიებლად ხარაგაულის მერია აქტიურად მუშაობს.

ეკა შავიძე

ღორეშაში იუსტიციის სახლის მიმდებარე საავტომობილო ქუჩას გელა კაპანაძის სახელი მიენიჭა

სოფელ ღორეშაში იუსტიციის სახლის მიმდებარედ, საავტომობილო გზის გასწვრივ განთავსებულ 420- მეტრიან მონაკვეთს გელა კაპანაძის სახელი მიენიჭა. ამის შესახებ გადაწყვეტილება დეპუტატებმა 20 იანვარს გამართულ საკრებულოს სხდომაზე ერთხმად მიიღეს. გელა კაპანაძე ამავე სოფლის მცხოვრები, აფხაზეთის ომში დაღუპული და ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერია.

აქვე განვმარტავთ, რომ იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით, იქ, სადაც იუსტიციის სახლები მდებარეობს, ქუჩებს სახელწოდება უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება ამ ქუჩისათვის გელა კაპანაძის სახელის მინიჭებას, ინიციატივა სოფლის საერთო კრებიდან წამოვიდა.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12